# მზისპირის ნაზანი მინდა

მზისპირის ნაზანი მინდა,
შვიდი მაისის წვიმისა!
ვეპასუხები გაზაფხულს,
როგორც ძვირფასის ღიმილსა.

მესმის, მზის ოქროს დუდუკზე
რასაც იმღერის ეთერი,
წვიმის ნაზრწყენი წვეთები
ტაკტაკი შეუწყვეტელი.

მესმის, ამ პირველ ყვავილებს
რასაც დასძახის ფუტკარი,
რასაც ჟღერს ოქროხმიანი,
ვაშლის რტო გამომზუტკვარი.

თავზე დამნათის ოცნება,
ვით ამ ხეს – თეთრი ყვავილი,
მზის თვალით ვუმზერ ქვეყანას,
მზის სიხარულით დავივლი.

რადგანაც სული სავსეა
ათასი ნაკოცნარებით
და გული აყვავებულა,
დიდი მინდორის ნაირი…